საქართველოს კომუნიკაციების ეროვნილ კომისიას

შპს „კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველის

ანგარიში

(1 ოქტომბერი, 2020 - 28 თებერვალი[1], 2021)

როგორ მოგეხსენებათ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 1 ოქტომბრის Nგ-20-18/747 გადაწყვეტილებით (შემდგომში კომისიის გადაწყვეტილება) დავინიშნე შპს „კავკასუს ონლაინის“ (ს/კ 211380833) სპეციალურ მმართველად. ამავე გადაწყვეტილებით დამევალა კომისიისთვის ანგარიშის წარდგენა. შესაბამისად, წარმოგიდგენთ შპს „კავკასუს ონლაინში“ ჩემი, როგორც სპეციალური მმართველის მიერ 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 1 მარტამდე განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს.

ჩემი, როგორც სპეციალური მმართველის უფლებამოსილებები და მანდატი განსაზღვრულია კომისიის გადაწყვეტილებით. ჩემს ძირითად ამოცანას და ფუნქციას წარმოადგენს კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება და იმ რისკების ნეიტრალიზება, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებაშია განსაზღვრული კერძოდ კი შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის უკანონო გასხვისების შედეგად საფრთხე არ შეექმნას საქართველოში ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტუნარიან გარემოს და ზიანი არ მიადგეს საქართველოში ინტერნეტ მომსახურებით მოსარგებლე მომხმარებლებსა და საქართველოს რეგიონალურ კონკურენტუნარიანობას.

წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში ჩემი მთავარი აქტივობები მიმართული იყო იქითკენ, რომ შემესწავლა კომპანიის მდგომარეობა, რათა შესაბამისად დამეგეგმა შემდგომი გადაწყვეტილებები კომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად. კომპანიაში არსებული პროცესებისა და ფინანსური გადარიცხვების შესწავლის მიზნით ჩემს მიერ მოთხოვნილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

1. საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები (მათ შორის PR, იურიდიული და სხვა საკონსულტაციო)
   2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით - აღნიშნულ ბუღალტრულ ანგარიშებზე განხორციელებული დეტალური ტრანზაქციები ბუღალტრული სისტემიდან (თარიღი, კონტრაგენტის/ფიზიკური/იურიდიული პირის დასახელება, ხარჯის აღწერა, თანხა/ვალუტა)
2. მენეჯმენტის და სამეთვალყურეოს საბჭოს წევრების სახელფასო ხელშეკრულებები/ბრძანებები ასევე აღნიშნულ პირებზე დარიცხული ხელფასები და ბენეფიტები - დეტალურად - ბოლო 3 თვის (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი)

[1] ვინაიდან საწყის ეტაპზე დიდი დრო დასჭირდა კომპანიის პროცესებისა და დოკუმენტაციის შესწავლას აღნიშნული ანგარიში მოიცავს ხუთ თვეს.

• -21-6/1103
09.03.2021
4+1

3. მნიშვნელოვანი კონტრაქტები - IRU და სხვა სახელშეკრულებო მათ შორის სასესხო ვალდებულებები, შესაბამისი ვალდებულებების და ასევე სახელშეკრულებო აქტივების ხელშეკრულებები, შეჩერებული ან/და სადავო კონტრაქტები.
4. მიმდინარე სასამართლო დავები და ადმინისტრაციული წარმოებები, სადაც კავკასუს ონლაინი წარმოადგენს მხარეს (მოსარჩელე, მოპასუხე) ან მესამე პირს (გარდა იმ დავებისა, სადაც მოსარჩელე ან მოპასუხე არის კომუნიკაციების კომისია) - შემდეგი რეკვიზიტების მითითებით: მხარეები, დავის საგანი, დავის ღირებულება, დავის განმხილველი ორგანო, რა ეტაპზეა დავა, დავის შედეგები
5. 2020 წლის 1-3 კვარტლის ფინანსური ანგარიშები და ბიუჯეტი: კავკასუს ონლაინი, Caucasus Cable System და რკინიგზის ტელეკომი - თვეების მიხედვით - CF, BS, P&L Equity ; ასევე აღნიშნული კომპანიების:
   - ძირითადი ვალდებულებების (სავაჭრო, სასესხო, სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები (IRU)) გაშიფრვა 30.09.2020 მდგომარეობით - კონტრაგენტებად/კონტრაქტებად და თანხებად
   - ძირითადი მოთოვნების და მიღებული ავანსების გაშიფრვა (სავაჭრო, სასესხო, სხვა სახელშეკრულებო აქივები) 30.09.2020 მდგომარეობით - კონტრაგენტებად/კონტრაქტებად და თანხებად
   - ძირითადი საშუალებების გაშიფრვა 30.09.2020 მდგომარეობით
6. ბუღალტრული, საბანკო, სააღრიცხვო, რეპორტინგის და კონტრაქტების მენჯმენტის და სხვა საოპერაციო სისტემების ჩამონათვალი - მოკლე აღწერით
7. ყოველდღიური ძირითადი ტრანზაქციების სია - გადარიცხვები/ ხელფასები, კონტრაქტები, წერილები, ბრძანებები ბოლო 1 თვის მაგალითზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შემდეგ შემუშავებული იქნა შპს „კავკასუს ონლაინის" ფინანსური და სამართლებრივი ანალიზის (ე.წ. due diligence) ტექნიკური დავალება, რომელიც თან ახლავს ანგარიშს.

კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური დავალება დაეგზავნათ საერთაშორისოდ აღიარებულ, ავტორიტეტულ და მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიებს - KPMG, Ernst&Young, Grant Thornton. კომპანიებს წინადადებების წარმოდგენისთვის განესაზღვრათ ვადა 16 მარტამდე. აქვე დავძენ, რომ ვინაიდან 2019 წელს Deloitte - საქართველო/მოსკოვის ოფისს ნექსოლის (რომელიც წარმოადგენს შპს „კავკასუს ონლაინის" წილის უკანონოდ შემძენი პირის ნასიბ ჰასანოვთან აფილირებულ იურიდიულ პირს) დაკვეთით ჩატარებული აქვს კომპანიის due diligence, ხოლო PWC-ის იურიდიული დეპარტამენტი წარმოადგენს ნექსოლის ინტერესებს მიმდინარე დავაში, მიზანშეწონილი არ არის ამ კომპანიების ბაზრის კვლევაში მონაწილეობა.

ჩემის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმ რწმენით და მოტივებით, რომ იგი საუკეთესოა კომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ჩემს მიერ გატარებული აქტივობების ძირითად ხაზს წარმოადგენდა შპს „კავკასუს ონლაინის" წილის უკანონოდ შემძენი პირის, მაქსიმალურად დისტანცირება კომპანიის საქმიანობიდან და კომპანიის არსებული მენეჯმენტის გადაწყვეტილებების წინასწარი შეთანხმება. მე, როგორც სპეციალური მმართველი, ხელს ვუწყობდი კომპანიის გენერალურ დირექტორს, კომპანიის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელებაში. საანგარიშო

პერიოდში, კომპანიას არ ქონია რაიმე სახის შეფერხება თავისი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის კუთხით.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ თანხმობა არ იქნა გაცემული ისეთ აქტივობებზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა კომისიის იმ გადაწყვეტილებასთან, რომლის აღსრულებაც სპეციალურ მმართველს ევალება. ჩემს მიერ თანხმობა არ გაიცა შემდეგ საკითხებზე:

- 2020 წლის 15 დეკემბერს, NEQSOL ჰოლდინგის სახელით მომმართა კავკასუს ონლაინის გენერალურმა დირექტორმა და ჩემგან როგორც სპეციალური მმართველისგან ითხოვა თანხმობა ყაზახურ კომპანია ტრანსტელეკომთან Transtele"კავკასუს ონლაინის" m JSC და თურქულ კომპანია "SOCAR Turkey Fiber Optik A.Ş."-თან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმებაზე. ვინაიდან აღნიშნულ მემორანდუმებში შპს „კავკასუსმოხსენიებული იყო, როგორც NEQSOL ჯგუფის შვილობილი კომპანია, ჩემს მიერ არ იქნა თანხმობა გაცემული და შესაბამისად არ მოხდა აღნიშნული მემორანდუმების გაფორმება.

პირველი უარის შემდეგ, მ/წ 10 და 12 იანვარს, ელ-წერილით მომმართა შპს „კავკასუს ონლაინის" ერთ-ერთი პარტნიორის შპს „ნელგადოს" (რომლის წილის უკანონო შეძენაც მოხდა ნასიბ ჰასანოვის მიერ და შესაბამისად აღნიშნული კომპანიის დე-ფაქტო ბენეფიციარს წარმოადგენს სწორედ ნასიბ ჰასანოვი) დირექტორმა და შპს „კავკასუს ონლაინის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა თემურ ტაგიევმა. მისი მოთხოვნა ასევე შეეხებოდა ზემოთ მითითებული ურთიერთგაგების მემორანდუმებზე ხელმოწერასა და ასევე, შემოთავაზებული იყო კომპანიის მმართველობითი ორგანოების ცალკეული უფლებამოსილებები, რომლებიც მმართველობით ორგანოებს სპეციალური მმართველის თანხმობის გარეშე უნდა განეხორციელებინათ (ესენია: პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს კრებათა მოწვევა; წლიური ფინანსური ანგარიშების დამტკიცება; კომერციული ხელშეკრულებების, მათ შორის, გაყიდვის, ყიდვის, სესხის, კოლოკაციის, იჯარის, მომსახურების და ა.შ., დადება ან შეწყვეტა; "კავკასუს ონლაინის" კაპიტალის გაზრდა; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება; მესამე პირების მიმართ ვალდებულებების აღება, მათ შორის, ქონების დაგირავება/იპოთეკით დატვირთვა; "კავკასუს ონლაინის" დასაქმებულებთან და გარე მომსახურების მიმწოდებლებთან შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების დადება / შეწყვეტა; გადახდების განხორციელება "კავკასუს ონლაინის" სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად; გადასახადების გადახდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად; "კავკასუს ონლაინის" წლიური ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის მიღება; ცვლილებების შეტანა "კავკასუს ონლაინის" წესდებაში; "კავკასუს ონლაინის" აუდიტორების დანიშვნა; "კავკასუს ონლაინის" წარმომადგენლობა საქართველოს სასამართლოების წინაშე, საქართველოს ან უცხოეთის საარბიტრაჟო განხილვებში, კომისიასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, მათ შორის, სარჩელების, შესაგებლების წარდგენა, განცხადებებისა და სხვა დოკუმენტების გამოთხოვა, შედგენა და წარდგენა საჭიროებისამებრ; "კავკასუს ონლაინის" წარმომადგენლობა ეროვნული და უცხოური ბანკების წინაშე; რომელიმე ზემოაღნიშნული უფლებამოსილების შესრულების მიზნით მესამე პირებზე მინდობილობების გაცემა, მათი გაუქმება; "კავკასუს ონლაინის" შვილობილ კომპანიებთან დაკავშირებით ყველა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღება

“კავკასუს ონლაინის“ და შესაბამისი შვილობილი კომპანიის წესდების შესაბამისად). ვინაიდან შემოთავაზებული იყო ყველა მნიშვნელოვანი კორპორატიული უფლებამოსილების განხორციელება სპეციალურ მმართველთან შეთანხმების გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა კომისიის გადაწყვეტილების არსს, უარი განვაცხადე, უფლებამოსილების მსგავს გამიჯვნაზე. აღნიშნულ მოთხოვნაზე ბატონი ტაგიევისათვის დასაბუთებული უარის თქმის შემდეგ, მსგავსი წერილით მომმართა (მ/წ 27 იანვარს) შპს „კავკასუს ონლაინის“ მეორე პარტნიორის International Online Networks Limited-ის დირექტორმა ქალბატონმა თამარ იდაძემ. შესაბამისად, მასაც გაეგზავნა დასაბუთებული უარი.

აქვე წარმოვადგენ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა განხილვა და ჩემს მიერ თანხმობის გაცემა მოხდა ამ პერიოდში:

დახურულია

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ვმონაწილეობდი თი-ბი-სი ბანკთან გამართულ შეხვედრებში, რომლებიც ეხებოდა კომპანიისათვის სასესხო ვალდებულების რესტრუქტურიზაციას, რაც კომპანიისათვის წარმატებით დასრულდა.

ზემოაღნიშნულის გარდა ჩემს მიერ ხდებოდა ყოველთვიური გადარიცხვებისა და სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების (როგორიც არის მაგალითად თანალოკაციის ხელშეკრულებები) დამოწმება.

ამასთანავე, მოგმართავთ, თხოვნით რომ წინამდებარე ანგარიში სცნოთ კომერციულ საიდუმლოებად, ვინაიდან მასში მოცემულია შპს „კავკასუს ონლაინის“ შესახებ ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას და ზიანი მიაყენოს კომპანიის კონკურენტუნარიანობას.

პატივისცემით,
მარიამ სულაბერიძე

Digitally signed by
Mariam Sulaberidze
Date: 2021.03.09
16:56:11 +04'00'